

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს საარჩევნო კომისიის

სხდომის ოქმი N6

ქ.თბილისი

29 დეკემბერი 2014 წლის

სხდომას ესწრება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - ხათუნა მიქაუტაძე, თავმჯდომარის მოადგილე-ნატალია კომახიძე, კომისიის წევრები - ირაკლი ჩაგანავა.

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები:

ბოლდაველი დავითი, გველესიანი ირაკლი, ოთანაძე გიორგი, დუმბაძე გიორგი, ომარაშვილი ვაჟა, ჩახმახიშვილი და რიჟამაძე სალომე.

შეხვედრას ესწრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომელი თემურ დონდუა.

სხდომას ხელმძღვანელობს და უძღვება კომისიის თავმჯდომარე - ხათუნა მიქაუტაძე

სხდომის მდივანის ფუნქცია შეითავსა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ნატალია კომახიძემ.

დღის წესრიგი:

1.ახლად არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის უფლება მოსილების ცნობა.

2.სხვადასხვა

მოისმინეს

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის - ხათუნა მიქაუტაძის მისალმება. მან წარადგინა ახლად არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის 8 წევრი და ოფიციალურად აღიარა მათი უფლებამოსილების.

ხათუნა მიქაუტაძემ განუმარტა სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს, სანამ დებულებას შეიმთავრებდნენ და დაამტკიცებდნენ, ( აუცილებლად უმოკლეს ვადაში) რის საფუძველზეც აირჩეოდა მათი ორგანოს ხელმძღვანელი და მოადგილე მანამდე ( დღესვე) უნდა აერჩიათ ღია კენჭისყრით დროებითი თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც წარუძღვებოდნენ სათანადო მოქმედებებს.

თემურ დონდუამ შესთავაზათ დებულების შემუშავებაში დახმარება და ასევე მეორე დღეს 16:30 წუთზე მიიწვია წარმომადგენელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სხვა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

ომარაშვილმა ვაჟამ დააყენა საკითხი საპატიო წევრად სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოში მოეწვიათ თემურ დონდუა, რასაც ყველა ერთხმად დაეთანხმა, ასევე თანხმობა მიიღეს თემურ დონდუასგანაც.

სტუდენტებმა ერთმანეთში იმსჯელეს და დროებით კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურად დავით ბოლდაველი წამოაყენეს რასაც მხარი ერთსულოვნად ღია კენჭისყრით დაუჭირეს კიდევ. მდივანის კანდიდატურად წამოაყენეს სალომე რიჯამაძე, რომელსაც ღიად უყარეს კენჭი და ხმათა უმრავლესობით დაუჭირეს მხარი.

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს წევრების გადაწყვეტილებით დაადგინეს ორშაბათს 29 დეკემბერს შეკრება 12:00 საათზე, სადაც განიხილავენ დებულების პროექტს და დაამტკიცებენ კიდევ, ასევე 17:30 წუთზე დანიშნეს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის არჩევნები.

დადგინეს:

1. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების აღიარება (ცნობა).
2. დროებით დებულების მიღებამდე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დავით ბოლდაველი.
3. დროებით დებულების მიღებამდე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მდივნად არჩეულ იქნა სალომე რიჯამაძე.

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი

ორგანოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე



ხათუნა მიქაუტაძე

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი

ორგანოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე



ნატალია კომახიძე

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი

ორგანოს საარჩევნო კომისიის წევრი



ირაკლი ჩაგანავა